

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

2002 წლის ბოლოს საქართველოში დაიწყო მუშაობა სისხლის სამართლის სისტემის მნიშვნელოვან გამარტივებაზე. ამ პერიოდთან დაკავშირებით შექმნილი იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტების რამდენიმე ვარიანტი. ეს პროცესი ლოგიკურად უკავშირდება საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 9 ივლისის №549 განკარგულებით მოწონებულ სტრატეგიას სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის შესახებ. წარმოდგენილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი წარმოადგენს აღნიშნულ სტრატეგიაში მოცემული პრინციპების პრაქტიკულ რეალიზაციას.

ა. ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია შექმნას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ახალი სისტემა, რომელიც აგებულია შეჯიბრებითობის, საჯაროობის, მხარეთა თანასწორობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის, ბრალდებულის უფლებათა პატივისცემისა და სხვა პროგრესულ პრინციპებზე. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სამართლებრივი ენა მაქსიმალურად მარტივია, ხოლო კოდექსის სტრუქტურა საკმარისად აღსაქმელია უმაღლესი იურიდიული განათლების არმქონე პირთათვისაც კი. შესაბამისად, კოდექსის პროექტის ძირითადი მიზანია, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და ეფექტური სისხლის სამართლის პროცესის შექმნა და საზოგადოებაში მისი დამკვიდრება.

ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საკვანძო პრინციპს წარმოადგენს შეჯიბრებითობა მხარეებს შორის, როგორც წინასასამართლო გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე. ეს მიღწეულია პროექტში მრავალი დებულების ასახვით, რომელიც თანაბარ მდგომარეობაში და პირობებში აყენებს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, ასევე, მოსამართლის წინაშე მათი წარმოდგენისა და შეფასების მხრივ. სწორედ ამიტომ წარმოდგენილი კანონპროექტით მთავარი აქცენტი კეთდება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით ღია სასამართლო კამათის პირობებში მოპოვებულ მტკიცებულებაზე და ამით ხაზი ესმება სასამართლო გამოძიების პრიორიტეტულობას – დღევანდელი საპროცესო

კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომელიც მთავარ აქცენტს აკეთებს წინასასამართლო სტადიაზე, არაგაჭვირვალე და ცალმხრივად მოპოვებული მტკიცებულებების წერილობით გაფორმებაზე და შეძლებისდაგვარად დადასტურებაზე ფორმალურ სასამართლო განხილვაზე. სწორედ ეს არის ის ფუძემდებლური (მაგრამ არა ერთადერთი) განსხვავება, რომელიც უკავშირდება ინკვიზიციური (კონტინენტური) სამართლის პრინციპებიდან საერთო (შეჯიბრებით) სამართლის სისტემაზე გადასვლას.

ლოგიკური ნაბიჯი ახალი საპროცესო კოდექსის პროექტისათვის არის ბრალდებულის ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბება დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომელიც სხვადასხვა სტატუსს ანიჭებს დაცვის მხარეს სხვადასხვა საპროცესო ეტაპზე. კანონპროექტის ავტორთა აზრით, ისეთი განსხვავება "ექვმიტანილს", "ბრალდებულს" თუ "განსასჯელს" შორის, რომელიც ეყრდნობოდა მხოლოდ ფორმალურ დადგენილებებს ანდა საქმის საგამოძიებო ორგანოდან სასამართლოში გადასვლას - არსებითი უფლებრივი ცვლილების გარეშე - არ არის გამართლებული, განსაკუთრებით კი ახალი საპროცესო კოდექსის პროექტით გათვალისწინებულ ერთიანი გამოძიების სისტემაში. შესაბამისად, "ბრალდებულის" ერთიან სტატუსს, რომელიც ასევე მოიცავს "ექვმიტანილისა" და "განსასჯელის" ფორმალურ ნიშნებს, ეძლევა ერთადერთი დატვირთვა, რომელიც შესაძლებელია პქონდეს საპროცესო სტატუსს - მკაფიოდ განსაზღვრული, უცვლელი და ეფექტური უფლებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელიც მას როგორც პროცესის მხარეს გააჩნია მთელი პროცესის განმავლობაში. პირი ბრალდებულის სტატუსით და შესაბამისი უფლებებით სარგებლობს მის მიმართ დევნის დაწყებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე.

კანონპროექტის ერთ-ერთ უმთავრეს ნოვაციას წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის არსებითი გარდაქმნა ჩვეულებრივ საგამოძიებო მოქმედებად. ამ ნოვაციის მთავარი არსი არის მაქსიმალურად მკაცრი სასამართლო კონტროლის დაწესება ისეთ ღონისძიებებზე, რომელიც პოტენციურად ყველაზე მეტად აღწევს ბრალდებულის (თუ სხვა პირის) პირად ცხოვრებაში, როგორცაა ფარული მოსმენა-მიყურადება, ვიზუალური კონტროლი, კონტროლირებული მიწოდება, კონსპირაციული საქმიანობა და სხვა ფარული ღონისძიებები. "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის დღევანდელი რედაქცია ფაქტობრივად პრივილეგირებულ და განსაკუთრებით არაგაჭვირვალე საპროცესო სტატუსს ქმნის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისათვის, რაც ახალი საპროცესო კოდექსის პროექტის მიხედვით გაუქმებულია და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და დაკანონება რეგულირდება იმავე საპროცესო წესებით და მათზე ხორციელდება

ისეთივე სამოსამართლო კონტროლი, როგორც ჩველებრივი საგამოძიებო მოქმედებებისათვის.

საგამოძიებო პრაქტიკის ნოვაციები ამით არ ამოიწურება. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ბრალდებულის და მისი დამცველის მიერ სრულყოფილი კერძო გამოძიების ჩატარება იმავე პირობებში, როგორც ბრალდების მხარეს გააჩნია. ამით კიდევ ერთხელ ხაზი ესმება შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ გატარებას სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. ამასთან, ბრალდებულის (დამცველის) მიერ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია, შესაბამისი შუამდგომლობის დაყენებით, მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით (როგორცაა, მაგალითად, ჩხრეკა და ამოღება).

სასამართლო გამოძიების პრიორიტეტისა და შეჯიბრებითობის პირობებში სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევაზე გაკეთებული აქცენტის გათვალისწინებით, გაუქმებულია წინასასამართლო გამოძიების დროს მოწმის მიერ ჩვენების მიცემის სავალდებულობა. ამასთან, ნებაყოფლობითობა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გარანტს პირის უფლებების ხელყოფისაგან, არ ურცველდება სასამართლოს მიერ მოწმის გამოძახებაზე და სასამართლოში მის დაკითხვაზე მხარეების მიერ. ამით აქცენტი ისევ და ისევ გადატანილია სასამართლოს წინაშე მიღებული მტკიცებულების მნიშვნელობაზე. რა თქმა უნდა, გამოძიებულს, პროკურორს შეუძლია ნებისმიერი პირისაგან, ნებაყოფლობით საფუძველზე, ინფორმაციის მიღება ჩადენილი დანაშაულის შესახებ – მაგრამ, ამგვარი ნებაყოფლობითი გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არ მიიღება საქმის არსებითი განხილვის დროს როგორც მტკიცებულება. მოწმე ვალდებულია, გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება მხოლოდ სასამართლოში.

პროკურორის, როგორც ბრალდების მხარის წარმომადგენლის, ძირითადი როლი და ფუნქცია არის სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, დევნის სახეები და პრინციპები ახლებურადაა მოწესრიგებული კანონპროექტით. პირველ რიგში, პროკურორის მიერ საჯარო დევნის განხორციელება არ არის სავალდებულო დანაშაულის ყველა ფაქტზე (რაც ცნობილია როგორც *დევნის დისკრეციულობის პრინციპი*); ამასთანავე, ეს დისკრეცია არ არის შეუზღუდავი. კონკრეტული პირის მიმართ დევნის დაწყება, წარმოება და შეწყვეტა იქნება რეგულირებული სავალდებულო მითითებებით – სისხლის სამართლის პოლიტიკით, რომელსაც პერიოდულად გამოსცემს საქართველოს გენერალური პროკურორი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტში მნიშვნელოვანი განსხვავებაა საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივ დევნას შორის.

ეს ნიშნავს, რომ პროკურორი უფლებამოსილია განახორციელოს საჯარო დევნა ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე, ნებისმიერი დანაშაულის მიმართ. ამასთან, თუ სახელმწიფო ბრალდება უარს იტყვის ბრალდებაზე პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, დაზარალებული იძენს კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებას, რომელსაც ის ახორციელებს მხოლოდ ადვოკატ-წარმომადგენლის მეშვეობით.

კერძო დევნის გარდა, დაზარალებულის სტატუსი და უფლებები ახლებურადაა მოწესრიგებული. დაზარალებული აღარ წარმომადგენს სისხლის სამართლის პროცესის მხარეს - იგი არის პროცესის მონაწილე. მას გააჩნია სახელმწიფო ბრალდებისაგან ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების ფართო უფლებები, თუმცა, აღარ ექნება (გარდა კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევებისა) დღევანდელი საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მრავალი გასაჩივრებისა და პროცესის მსვლელობაში ჩარევის უფლება. ამასთან, დაზარალებულს შეუძლია ქონებრივი ინტერესების დაცვა სამოქალაქო წესით, რაც იწვევს სამოქალაქო სარჩელის პროცედურების გაუქმებას სისხლის სამართლის პროცესში.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ არსებით ნაკლოვანებას წარმოადგენს მტკიცების მკაფიოდ განსაზღვრული სტანდარტების არარსებობა. ამის საპირისპიროდ, კანონპროექტის ავტორებმა ჩამოაყალიბეს მტკიცებულებისა და მტკიცების წესების ახლებური და მარტივი სისტემა, რომელიც ეპყრობა სამ ძირითად მტკიცებით სტანდარტს - საფუძვლიანი ეჭვის, მაღალი ალბათობისა და გონივრული ეჭვის მიღმა (უტყუარი მტკიცებულების) სტანდარტებს. საფუძვლიანი ეჭვის პირველადი სტანდარტი გამოიყენება პირის მიმართ დევნის დაწყებისა და ბრალდების წარდგენისათვის. მაღალი ალბათობის სტანდარტი, თავის მხრივ, წარმოადგენს უფრო მაღალი ხარისხის სტანდარტს, რომლის მოთხოვნების დაცვისას შესაძლებელია არსებითი განხილვისათვის სასამართლოში საქმის წარმართვა. ბოლოს, გონივრული ეჭვის მიღმა უნდა დამტკიცდეს პირის ბრალეულობა კონკრეტული დანაშაული ჩადენაში - ანუ ეს არის გამამტყუნებელი განაჩენის სტანდარტი, რომლის მიუღწევლობის შემთხვევაში პირი უნდა გამართლდეს.

ბრალდებულის პირველი წარდგენა მოსამართლესთან 24 საათში (და არა 48 საათში, როგორც ეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული) წარმოადგენს საქმის შემდგომი განვითარების გადამწყვეტ სტადიას. პირველი წარდგენის დროს, მოსამართლე ასრულებს კონტროლის მრავალ ფუნქციას, კერძოდ: განუმარტავს ბრალდებულს ბრალდების არსს; მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე არკვევს ბრალდების საფუძვლიანობას; წყვეტს აღკვეთის ღონისძიების საკითხს, ან არკვევს საპროცესო შეთანხმების

დადების შესაძლებლობას და თუ სარწმუნოდ მიაჩნია, ამტკიცებს მას (გამოაქვს განაჩენი); კანონით დადგენილ შემთხვევებში მიიღებს მოწმის ჩვენებას; იხილავს მოწმეთა დაცვის სპეციალური ზომების მიღების აუცილებლობას; იხილავს დაცვის შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე; ხოლო, თუ ამ სტადიაზე საპროცესო შეთანხმება არ იდება, საქმეს განსჯადობის დაცვით უგზავნის შესაბამის სასამართლოს წინასასამართლო სხდომის გასამართავად.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს *ალკეუთის ღონისძიებათა* მოქმედი საპროცესო კანონმდებლობისაგან არსებითად განსხვავებულ რეჟიმს, ძირითადი და არსებითი ცვლილება შეეხო საპატიმრო ვადებს. პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ერთიანი წინასასამართლო და სასამართლო გამოძიების პირობებში, როდესაც საქმე პირის მიმართ დუენის დაწყებიდან მაქსიმუმ 45 დღეში გადაეცემა სასამართლოს არსებითი განხილვისათვის, აღარ არსებობს წინასწარი და სასამართლო პატიმრობის განცალკავებული და განსხვავებული ვადების განსაზღვრის აუცილებლობა. კანონპროექტი, ამის ნაცვლად, ითვალისწინებს *ერთიან 9-თვიან ვადას პატიმრობისათვის*, რომლის დინებაც იწყება პირის დაკავებისას ან ბრალდებულად ცნობისას და წყდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისთანავე. შესაბამისად, პროცესში ჩადებულია გარანტია იმისა, რომ პატიმარის საქმე სასამართლოს მიერ გადაწყდება მისი დაკავებიდან მაქსიმუმ 9 თვეში.

ამასთან, მნიშვნელოვნად არის წახალისებული არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება, შესაბამისად, გირაოს მინიმალური ოდენობა, მოქმედ საპროცესო კოდექსთან შედარებით, განახევრებულია (ანუ შეადგენს 1000 ლარს ნაცვლად 2000-სა).

წინასასამართლო სხდომა სავალდებულოა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე და ტარდება ბრალდებულის მაგისტრატ მოსამართლესთან პირველი წარდგენიდან 45 დღის ვადაში. მასზე წყდება საქმის არსებითი განხილვისათვის მნიშვნელოვანი მრავალი საკითხი, კერძოდ: სხდომის დაწყებამდე 5 დღით ადრე მხარეები ერთმანეთსა და მოსამართლეს წარუდგენენ მტკიცებულებათა სიას; შესაძლებელია შეიცვალოს ბრალდების ფორმულირება (ე.ი. ბრალდებულს წარედგინოს ახალი ბრალდება). რა შემთხვევაშიც მოსამართლე ბრალდებულს აცნობს ახალი ბრალდების არსს; მოსამართლე შუამდგომლობის საფუძველზე წყვეტს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს; ასევე არკვევს, სურს თუ არა ბრალდებულს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი; მოსამართლე ნიშნავს საქმის არსებითი განხილვის თარიღს და განიხილავს ალკეუთის ღონისძიების შეცვლის (პატიმრობის ვადის გაგრძელების) საკითხს.

საქმის არსებითი სასამართლო განხილვა წარმოადგენს პროცესის მთავარ სტადიას. ეს არის უწყვეტად მიმდინარე პროცესი, რომლის დროსაც მხარეები, შეჯიბრებითი პროცესის პირობებში ახორციელებენ ბრალდებასა და დაცვას. საქმის არსებით სასამართლო განხილვას გააჩნია მკაცრად რეგლამენტირებული სტრუქტურა, რომლის მიზანიცაა მხარეებისათვის მაქსიმალური შესაძლებლობის მიცემა მტკიცებულებებისა და არგუმენტების წარდგენისათვის. ამასთან, შეცვლილია მოსამართლის როლი არსებითი განხილვის დროს - მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით დაკითხოს მოწმე, გამოითხოვოს მტკიცებულება ან დასვას შეკითხვა, ვინაიდან პროცესის შეჯიბრებითობა გულისხმობს მოსამართლის, როგორც მიუკერძოებელი არბიტრის (და არა პროცესის აქტიური მონაწილის) როლის განმტკიცებას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის სასამართლოში გადაცემისთანავე, გაუქმებულია საქმის წინასწარ (წინასასამართლო) გამოძიებაში დაბრუნების შესაძლებლობა. ამგვარი შესაძლებლობა თავისთავად არის მოკლებული აზრს ერთიანი გამოძიების პირობებში, როდესაც მთავარი - და არა ფორმალური - სტადია მტკიცებულებათა გამოკვლევისათვის არის სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვა.

კანონპროექტის ერთ-ერთ უმთავრეს ნოვაციას წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, რომელიც მიზნად ისახავს ყველა მოქალაქის პირდაპირ, დემოკრატიულ მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. შესაბამისად, 12 ნაფიცი მსაჯულისაგან შემდგარი სასამართლო, რომლის განსჯადობაც მოიცავს მხოლოდ შერჩეულ დანაშაულებს (საწყის ეტაპზე, დაგეგმილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის გავრცელება წამებისა და კორუფციული დანაშაულის საქმეებზე), გადაწყვეტს ბრალდებულის ბრალეულობისა და უდანაშაულობის საკითხს და მისცემს ან არ მისცემს სასამართლოს რეკომენდაციას სასჯელის შემცირების თაობაზე.

შესაბამისად, მოქალაქე ვალდებულია, მისი მსაჯულად შერჩევის შემთხვევაში, მიიღოს მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში - თუ ის პასუხობს ნაფიცი მსაჯულისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, არა აქვს ადგილი შეუთავსებლობას ან იგი უარს არ აცხადებს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების განხორციელებაზე კანონით გათვალისწინებული საფუძვლით. კანონპროქტით ასევე გათვალისწინებულია ნაფიც მსაჯულთა შერჩევის და მხარეთა მიერ გამორიცხვის საკმაოდ რთული და მოცულობითი სისტემა, რომლის მიზანიცაა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებელი კოლეგიის შერჩევა.

ნაფიცო მსაჯულები, მხარეთა კამათის მოსმენის შემდეგ, სათათბირო ოთახში იღებენ გადაწყვეტილებას პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის შესახებ. გამამტყუნებელი ვერდიქტისათვის საჭიროა 9 მსაჯულის, ანუ სამი მეოთხედის ხმა; სხვა შემთხვევაში, პირი გამართლებულად უნდა იქნეს ცნობილი. ვერდიქტის გამოტანის შემდეგ მოსამართლე, ცალკე გამართულ სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით, მსჯავრდებულს შეურჩევს სასჯელს.

ნაფიცო მსაჯულთა გამამართლებელი ვერდიქტი არ საჩივრდება, ხოლო გამამტყუნებელი ვერდიქტი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ კასაციის წესით - შესაბამისად, მხოლოდ სამართლის საკითხებზე. როგორც ჩვეულებრივი სასამართლოს, ისე ნაფიცო მსაჯულთა მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში შედის მისი გამოცხადებისთანავე, ხოლო განაჩენის გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

კანონპროექტის ნოვაციას ასევე წარმოადგენს დასაშვებობის სტადიის შემოღება სააპელაციო ინსტანციის სასამართლო პროცესისათვის, ისევე როგორც საკასაციო პროცესისათვის. ეს ნიშნავს, რომ საქმის სრული მოსმენის ჩატარების გარეშე მოხდება აშკარად დაუსაბუთებელი საჩივრების განუხილველად დატოვება, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს გასაჩივრების პროცესს ორივე ინსტანციისათვის. ამასთან, არც სააპელაციო და არც საკასაციო ინსტანციიდან აღარ მოხდება საქმის დაბრუნება პირველ (ქვემდგომ) ინსტანციაში დამატებითი განხილვისათვის - ყველა შემთხვევაში დგება განაჩენი.

ასევე ახლებურად იქნა გააზრებული განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოუღებულ გარემოებათა გამო. დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, აღარ მოხდება გამოძიების განახლება, და შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე საქმე განიხილება სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის წესების შესაბამისად.

პროექტით შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ ამასთან ძირეულად გადაისინჯა არასრულწლოვანთა და ფსიქიკურად დაავადებულ პირთა მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების ცალკე თავები. რომლებიც დაეყრდნო ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ უახლეს სტანდარტებს ამ ორი კატეგორიის პირთა განსაკუთრებული უფლებების მაქსიმალურად ეფექტური დაცვის მიზნით. ასევე გადაისინჯა და გამარტივდა საპროცესო წესები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო დახმარებასა და თანამშრომლობასთან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ. ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის შემუშავებული და განმახორციელებელი მმართველი ჯგუფის ფარგლებში შემუშავებულ და წარდგენილ იქნა ახალი სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის პირველი ვერსია, რომელიც შეიცავს განსახორციელებელ ღონისძიებათა დეტალურ აღწერას. რაც შეეხება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის აუცილებელ ფინანსურ გაანგარიშებას, იგი მმართველ ჯგუფს განსახილველად წარედგინება ა/წლის 31 მარტს.

ბ. ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ. გ) კანონპროექტის მიღება გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე: კანონპროექტის მიღებით გამოწვეული ხარჯების ზუსტი ფინანსური გაანგარიშება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის შემუშავებულ და განმახორციელებელ მმართველ ჯგუფს განსახილველად წარედგინება ა/წლის 31 მარტს.

ბ. დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული ხარჯების ზუსტი ფინანსური გაანგარიშება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის შემუშავებულ და განმახორციელებელ მმართველ ჯგუფს განსახილველად წარედგინება ა/წლის 31 მარტს.

ბ. ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება:

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება, კანონპროექტის მიღებით მოსალოდნელი ფინანსური შედეგების ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია.

ბ. ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ. ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ. ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის შემუშავებისას მონაწილეობდნენ შემდეგი სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები/დაწესებულებები: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „თავისუფლების ინსტიტუტი“, ევროპის საბჭო, ევროკავშირის მისია საქართველოში (EUJUST-THEMIS), აშშ-ს საელჩო საქართველოში, ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, გერმანიის ტექნიკური დახმარებისა და თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ).

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

2006 წელს იანვარ-თებერვალში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნები კანონპროექტის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან“ შესაბამისობის თვალსაზრისით. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების უმარავლესობა გაზიარებულ იქნა კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფის მიერ.

დ. გ) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფი.

დ. დ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.